

# საქართველო



საზოგადოებრივი და იურიდიული  
ჟურნალი № 1


ფაზი 60 თეთრი

2004

„ნიანგის“ წაქითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

80

136  
2004



75

საქართველო  
2002  
იურიდიული  
ჟურნალი



„ნიანგი“  
 ზენ, ზენი ზიხსევილი,  
 ზენი ჯამბუღი ძაძაძე,  
 ზემსელა ახლს ყველასს,  
 აუკრიკოვს - უკრიკოვს!  
 თქვენთვის არსებობს -  
 შეგვეცხადოს ზნაობა!  
 აუკრიკოვს ვინც ამკვირებს  
 აუკრიკოვს კომპიუტერს!  
 შენი კვირე ცუდი უკრიკოვს!

დაბადების დღეს გილოცავს,  
 თან ამას გამცნობს „ნიანგი“:  
 ჩვენი „კრიშა“ დღეს ყველა  
 ევროპელიც და ენკვიც  
 ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს?!  
 და ქრთამს არ იღებს სამოთხე?  
 მიეცი ძაძა ნოღარა,  
 რა იცი, იქნებ წამოდგე!  
 შენი „ნიანგი“

## ქუჩები "ნიანგის" ტედაქციაში

თბილისის ზოპარკში შველს ბალახი მიაწოდეს, გისოსთან ახლოს მიიტყუეს, ფეხში ხელი წაავლეს და ბარკალი მოაჭრეს. ცეცხლად შეირგეს და შხამად შეჭამეს. „ნიანგი“ კი ზოპარკში რომ ვერ იხილეს, თავისი დასაბრმავებელი თვალებით, რუსთაველის პროსპექტზე მოვიდნენ. ოფისის კარი მოკრძალებით შემოაღეს და ორხმაში რაღაცა იკითხეს, რამაც ბალახის მაგივრობა გასწია. პასუხით დაკმაყოფილდნენ და წასვლის დროს ძვირადღირებული მობილური ტელეფონი ხელს გააყოლეს. გამოკვიდეთ, ვერ დავწვიეთ, გაქრნენ და გაუჩინარდნენ.

„ნიანგს“ მესხიერებაში დარჩა, განსაკუთრებით წინაპლანზე მყოფი, შრამიანი, შავგრემანი, შავბნელი შავეშოვი რამაზ სერგოს ძე, რომლის ფოტოც პოლიციის ფოტოგალერეაში იყო, როგორც წარჩინებული, განსაკუთრებით ტექნიკის ქურდობაში დახელოვნებული. ყურნალისტური გამოძიების მიხედვით, მობილური ტელეფონის გატაცების შემდეგ რამაზ შავეშოვმა თანამონაწილესთან ერთად (რომელიც ჭერჭერობით

ჩვენთვის უცნობია) ღამის 12 საათის შემდეგ, გატეხა „ნიანგის“ რედაქციის კარი და მისთვის საყვარელი კომპიუტერული ტექნიკა მოიპარა.

მთაწმინდის პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ეჭვმიტანილი შავეშოვი დაკითხვაზე ფოტოსურათის ამოცნობიდან 24 დღის შემდეგ, როგორც იქნა მოიყვანეს. მას თან ახლდა ძმა - თამაზი და „კრიშა“ - ბესო გელენიძე, რომელიც აღრე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციაში მუშაობდა გამომძიებლად და შავეშოვის საქმეს „იძიებდა“, შემდეგ კი ქალაქ თბილისის პოლიციაში გადაუყვან-დაუწინაურებიათ. იგი დიდი ჰონორით, ფეხი ფეხზე გადადებულ იცავდა ქურდს. არც თუ ისე დიდი კამათის შემდეგ ქურდმა დიდად პატივი დაგვლო და გვიმღერა: „არ მომიპარავს, მიპოვნია“, მაგრამ ჩემს მობილურს მოგცემთ ან ფულს გადავიხდითო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რედაქციის ზარალი არა მარტო მატერიალური თვალსაზრისითაა ყურადსაღები, არამედ ჩადებულია შემოქმედებითი კოლექტივის შრომა. ნომერი,

რომელიც მიძღვნილი იყო ყურნალ „ნიანგის“ 80, ხოლო ნოდარ ღუმბაძის - 75 წლისთავისადმი, დაგვიანდა. გადიოდა დრო, დღეს დღე ემატებოდა, კვირას - კვირა, თვეს - თვე და ზაფხულში გამოსაცემ ყურნალს ზამთარი კარს მოადგა. ამასობაში „ჯეოსელმა“ წერილი მოწერა პოლიციას, რომ დაკარგული მობილური ტელეფონი ჩაართო ქსელში და უკანონო მფლობელი გამოაშკარავდაო. იგი - შვედარნაძის დაცვის სამსახურის თანამშრომელი - შოთა ბიწაძე აღმოჩნდა. პოლიციის გამოძიებულ ირაკლი ბანძელაძესთან ერთად მივაღვეით პრეზიდენტის დაცვის სამსახურის თანამშრომელს. ტელეფონი უყოყმანოდ დაგვიბრუნა და კითხვაზე თუ საიდან აღმოჩნდა მის ჯიბეში ჩვენი ტელეფონი, გვიპასუხა: ბაზარში, ტელეფონის მაღაზიების წინ უცნობი გოგონებისაგან უსაბუთოდ, უყველაფროდ 10 პროცენტთან ფასდაკლებით ვიყიდეთ. „ნიანგს“ ცრემლების არ სჯერა და მითუმეტეს ბიწაძის უბიწობისა. ყურნალისტური გამოძიება ჩატარდა, რის საფუძველზეც შოთა ბიწაძეს მობილური ტელეფონი ქურდმა შავეშოვმა ალბათ აჩუქა რაღაც დახმარების საფასურად, რასაც ბიწაძე არ ამბობს და არცაა გასაკვირი.

„ნიანგის“ რედაქციის ოფისის მძარცველი და მობილური ტელეფონის გამტაცებელი ერთია, რომელიც ჩვენც ვიცით, პოლიციამაც და თვითონაც კარგად იცის, მაგრამ კომპიუტერული ტექნიკა არ ჩანს, „ნიანგის“ გამოცემა შეფერხდა სისხლის სამართლის საქმე აღძრულია გამოძიება მიმდინარეობს, მდინარეებიც მიდიან და ზღვაში ჩაედინებია. ეს საქმე კი პოლიციისთვის ზღვაში წვეთია, მაგრამ „ნიანგი“, მოგვხსენებთ, წყალში არ იხრჩობა და კარგადაც ხედავს თუ რა ხდება ფსკერზე და ზედაპირზე. ამიტომ ვაი მას, ვინც მის ხახაში ჩავარდება რაღვან იქედან უკან მობრუნებულ კამეჩებიც კი ჭერ არავის უნახავს.



ნან. ნ. ხოდელისა

- ეს ყურნალია, მრავალსერიანი კინო მალე დაიწყება!

გაბრაზებულ-დაზარალებული „ნიანგი“



## ძმაო ნოდარ!

გილოცავ დაბადებიდან სამოცდათხუთმეტ და „ნიანგის“ დაარსებიდან ოთხმოცი წლისთავს, ჟურნალისა, რომლის მთავარი რედაქტორობის პერიოდი შენი შემოქმედების განსაკუთრებული ხვავრიელობით აღინიშნა.

მოხარული ვარ გაცნობო, რომ „ნიანგს“ ნაბიჯი არ მოუცვლია შენს მიერ დაკანონებული წესებიდან. რედაქციის ყოველი წევრი და მთლიანად ჟურნალი მტკიცედ აღიარებს, რომ სიცილი ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარია, ღიმილი - დღეგრძელობისა, უმსგავსოთა და დამნაშავეთა გაკილეა-გამასხარავება - ერის ზნეობრივი დახვეწის საუკეთესო საშუალებაა, ხოლო პატიოსნებისთვის ბრძოლა - ერის მარადიულობის უპირველესი პირობაა. რაც შეეხება მხატვრულ თუ სიტყვიერ შარჟს, იგი მხოლოდ „ნიანგისთვის“ კი არა, საერთოდ ქართული ლიტერატურისთვის შენს მიერ დაწესებული ნორმით არსებობს - იუმორსა და ცინიზმს შორის ზღვარი ურყევად არის დაცული.

შე კაი კაცო, შეკითხვები სეტყვასავით რომ დამყარე, რა გეჩქარებოდა, ცალი ფეხით მანდა ვარ, მოვალ და შენი ცნობისწადილის ნატამალს არ დავტოვებ დაუოკებელს, მაგრამ რახან არ დავიშლია ზოგიერთ მათგანზე პასუხს მაინც მოგახსენებ.

სხვებზე მარტივი შეკითხვებით დავიწყებ:

ბუნხარი, რომლის ხუთმეტრიანი აზბიციმენტის საკვამურის აღმართვაში შენ - ნაინფარქტალმა კაცმა და ნეტარხსენებულმა პოეტმა ანზორ სალუქვაძემ, სუფრაზე შემთხვევით შემოსწრებულებმა, მეზუბრესა და მეგადამწყვეტი დახმარება აღმოგვიჩინეთ, რამდენიმე წელიწადია აღარ ამიგიზგიზებია, ჯიბე ვერ მიწვდება, შეშასა და ხოხბის ხორცს ლამის ერთნაირი ფასი აქვს.

ის ქალი, ჩვენ, კუს ტბიდან მომავალთ, მანქანა რომ გაგვიჩერა და შენთან მიგვიყვანა, აღარსად მინახავს. ალბათ თავის რუს სამხედრო ქმარს საითღაც გაჰყვანა... დიდი მაზალო კაცი ხარ, რამ მოგაგონა, რომელი რუსკაია კრასავიცა ისა მყავდა?!

ნავთობის ამბავი შენზე მეტად მე მაინტერესებს, ზამთარს ნავთის მეშვეობით ვუმკლავდები... ამ მხრივ მნიშვნელოვანი ჯერაც არაფერია. ამოდის ერთი პრიმუსის სამყოფი; არ მაინტერესებს, ჩემი ცოლის - თამრიკო ჯავახიშვილის (რომელიც მხურვალე მოკითხვას გითვლის) სამეურნეო ინვენტარში პრიმუსი არ ირიცხება.

არჩვენებისას იმას მოგახსენებ, რომ ერთი „ერის მხსნელის“ სიტყვით „მე და ბეიკერმა“ ყველაფერი მოგავარეთ: საფიქრებელი ცეცსკოს „თხუთმეტ კაცში“ ოცდახუთის ჩატენვას მოვახერხებთ, შედეგების გაყალბებას თავს დავაღწევთ, მით უმეტეს, რომ მაღლა დმერთმა და მიწაზე უკანასკნელმა რეგვენმა კი იცის, რომ გაყალბება ცეცსკოშიც ხდება და პირველად კომისიებშიც ხორციელდება.

ვინ, რისგან და რა ხერხებით აპირებს ქართველი ერის გადარჩენას? კარგა ხანია შავი ფიცი დავდე: არ მოგვკდები, სანამ არ გავიგებ ქართველ ერს ასე უსაშველო გადასარჩენი რა სჭირს, ვინ უნდა აღასრულოს ეს ისტორიული ფუნქცია და, რაც მთავარია,

მეგობრული შარჟი მიზალ ფირცხალმასანი



„ნიანგს“ 30 წელიწადი უკვე შეეძინა

რა საშუალებებითა და ხერხებით აპირებს ყოველივე ამას ის დალოცვილი?! დავრწმუნდი, არაფერი გამომიგა, სიკვდილი უფრო ადრე მეწვევა, ვინაიდან ხმა დადის, იმ ხალხს, ოპოზიციას რომ უწოდებენ თავის თავს, ჩემზე უშავესი ფიცი დაუდვია, - დავიხოცოთ და კრინტი არ დავძრათ ამაზე, ვიქადაგოთ, ხმა მოგვეციოთ, გადაგარჩინოთ, მაგრამ რისგან და, მით უმეტეს, რა გზებით, საიდუმლოებაა, ნურაფერს შეგვეკითხებითო!

სხვა სათქმელი არაფერი მაქვს, გარდა იმისა, რომ სისულელეებს თავი დაანებე, არაფერი მკვდარი არა ხარ, ქართველ ხალხს ძველებურად უყვარხარ, შენს წიგნებს მაღაზიის თაროზე გაუყიდავენ ვერავინ ხედავს... შენ მანდ არა ხარ - აქა ხარ.

კარგი, აღარაფერი მკითხო, მოვალ, მეორე ფეხს შემოვკდამ და იმდენ ამბავს გეტყვი, მეხვეწებოდე თავი დამანებეო!

შენი ძმა - ჭაბუა სამირაჯიბი  
14 ოქტომბერი 2003 წ.



- საავადმყოფოდან ასე გამოგიშვეს?  
- მაღლობელი არა ხარ ქალო, სული რომ გამომაყოლეს?!



# ნოდარ დუმბაძის გახსენება

...მაგიდასთან ახლოს მოვიწვიე. იგი მძიმედ მომიახლოვდა და დაჯდა. ერთი წუთით დუმბაძის ჩამოვარდა. ეს არის ყველაზე მძიმე წუთი რედაქტორისთვისაც და ავტორისთვისაც. რედაქტორი მუშტრის თვალთ აკვირდება ავტორს, შიშით ელის - ვაითუ ავტორმა ჟურნალისათვის შეუფერებელი მასალა წარუდგინოს (მცდარია ის აზრი, თითქოს რედაქტორს უარის თქმა არ ეძნელებოდეს), და ავტორიც ერთგვარი დაეჭვებით და უნდობლობით შეჰყურებს რედაქტორს - ვაითუ მან ვერ გაიგოს და ჩეროვნად ვერ შეაფასოს მისი თხზულების ღირსება. ეს უხერხული წუთი, ჩვეულებრივ, ძალიან გაჭიანურებული ჩანს და საკმაოდ უსიამოვნოა.

ბოლოს, როგორც იქნა, უხალისოდ წაიღო ჯიბისკენ ხელი და რვეულის ორმაგი ფურცელი ამოიღო ოთხად დაკეცილი და საკმაოდ დაჭმუჭნილი. გამომიწოდა. ოღონდ არა შიშით და გაუბედავად, არამედ უხალისოდ და უნდობლად. ალბათ მოეჩვენა, რომ მე რაღაც არ მესიამოვნა, და არც შემცდარა; მართლაც გამიკვირდა: ახალგაზრდა კაცს რედაქციაში სათანამშრომლოდ გიწვევენ, მაინცდამაინც არ გიცნობენ და ეს მაინც

ქენი, რომ თუ გადაბეჭდვა არ შეგიძლია, წესიერ სტანდარტულ ქალღმერთ სუფთად გადაწერე და ნუ დაჭმუჭნი, ისე მოიტანე. ეს რა დაუდევრობაა, რა უპასუხისმგებლობა! ამიტომაც არ მესიამოვნა და როგორც ითქვა, ეს მაშინვე მანაც იგრძნო, მაგრამ თქმით არაფერი მითქვამს.

გამოვართვი ქალღმერთი და როგორც იქნა გავშალე. ხელს ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ საოცრად მკაფიო და ნათელი იყო. გაშლილი გვერდები რვეულის ფურცლებისა და მესამე გვერდი ნაწერი იყო, მეოთხე - თავისუფალი.

დავიწყე კითხვა. თავი არ ამიღია. ვერ ვიტყვი, ამ დროს მიყურებდა თუ არა, აკვირდებოდა თუ არა ჩემს განწყობილებას... თავი რომ ავწიე და შევხედე, - არ ვიცი, გოცებას უფრო გამოხატავდა ჩემი სახე თუ აღფრთოვანებას, - თვალები




„ნიანგის“  
„ულოცავან“  
ეროვნული  
გიბლიოთეკა

გაბრწყინებოდა და ღიმილით შემომტკეპროდა. ეს იყო ნოდარ დუმბაძის ღიმილი - კეთილი, ალერსიანი, სევდა გარეული ღიმილი, რომელიც მას შემდეგ აღარ მომშორებია და ალბათ სამარის კარამდე გამყვება.

## ვახტანგ ჭელიძე

\*\*\*

მახსოვს, რუსთაველის გამზ-ის №42-ში მე-5 სართული, შემდგომ მე-2 სართული, „ნიანგის“ რედაქცია, ნოდარ დუმბაძის კეთილგანწყობა,



4 მეგობრული შარჟი რემზუ ბაბრიძისა

მისი აურა, რომელიც ყოველთვის იყო თბილი და ადამიანის გულის გამხსნელი. იუმორი ჭკვიანური და არა ნიშნის მოგებით.

ყოველთვის ჰქონდა ერთი ტემპერატურა. ვფიქრობ, მისი ნაწარმოებები დროს გაუსწრებს.

## რევაზ გაბრიაძე

\*\*\*

ნოდარიმ სოფლიდან ჩამოსული ნათესავი საავადმყოფოში მიიყვანა დიაგნოზის დასასმელად. ექიმმა გასინჯა და უთხრა: ეს ჩემი ავადმყოფი არ არისო. მეორე ექიმმაც იგივე გაიმეორა და მესამემაც. მას

იუმორის გარეშე გაბრაზებაც კი არ შეეძლო. მიუბრუნდა ექიმებს და ეუბნება: ავადმყოფი ჩემი რომ არის შესანიშნავად ვიცი, მარა თუ მეტყვით რა ჭირს ამ ჩემს ავადმყოფს, კარგს იზამთო.

\*\*\*

მე და ნოდარი სარკეში თმებს ვისწორებდით. - ქართლოს, დაიხსომე, მე რომ მოვკვდები, ჩემს მემორიალურ დაფაზე ჩემზე ყველაფერს დანერენ: „გამოჩინებულს“, „ნარჩინებულს“, „უდიდესს“, მარა იმას, რომ მე ლენინური პრემიის ლაურეატი ვარ, შურით გამოტოვებენ. ასედაც მოხდა. მის მემორიალურ დაფაზე არ წერია, რომ იგი ერთადერთია ქართველ მწერალთა შორის ლენინური პრემიის ლაურეატი! ამაზე იტყოდა ნოდარი: „რას იზამ, ძამა, ამფერია ქართველური შური და ბედოვლათობა“.

## ქართლოს კასრაძე



# ნოდარ დუმბაძე - ჯვები დუმბაძე



\*\*\*

ერთ ცუდ კაცს, რომელმაც ადრე ჩადენილი ცუდ-კაცობის გამო ნოდარს მოუბოდიშა, ნოდარმა უთხრა: არ შეწუხდე, ძამა, შენ მაგაზე! მე, ძამა, ახლა ისე მაქვს საქმე, მე თვითონ თუ მოვიჭამ ამ ჩემს ფეხებს, თვარა სხვა ნამდვილად ვერ მომჭამსო!

\*\*\*

სერგო ორჯონიკიძის ძეგლის გახსნაზე ნოდარს ერთი მაღალი თანამდებობის პირი ეუბნება:

- ძალიან ცუდი ადგილი შეურჩევიათ ძეგლისთვის!

- კარგი ადგილი რაც იყო საქართველოში, გააჩუქა მაგ მამაცხონებულმა და რაც დარჩა, აგია! - აუხსნა ნოდარმა.

\*\*\*

ნოდარის რედაქტორობის დროს „ნიანგში“ ფელეტონი დაიბეჭდა: „შაქრის ქარხნის დირექტორად ვირთხა დააწინაურეს“ და ა. შ.

ერთ მშვენიერ დღეს იღება რედაქტორის კაბინეტის კარი.

- ვინ გნებავთ და რა გნებავთ, ბატონო?  
- მე ვირთხა გახლავართ! იბღვირება ახალმოსული ახმაზი.

ნოდარი უხსნის ფელეტონის განაწყენებულ „ლი-

რიკულ გმირს“, რომ ფელეტონი ზოგადად კიცხავს მექრთამეებსა და სახალხო ქონების დამტაცებლებს.

- ზოგადად მაშინ იქნებოდა, შაქრის ქარხანა ორი მაინც რომ იყოს საქართველოში! ბრაზობს ფელეტონის გმირი.

- რა ვქნა, ბატონო, ვერ გამოგვსვლია ეგ საქმე კარგად. რა შემიძლია ახლა მე? თუ გნებავთ, ცნობას მოგართმევთ, რომ თქვენ ვირთხა არ ბრძანდებით! ეუბნება ნოდარი.

\*\*\*

უკანასკნელ ხანს ნოდარი მეტისმეტად დაძაბუნდა, სიარულიც უჭირდა, სუნთქვაც, ლაპარაკიც, მაგრამ სიცოცხლის ხალისი და იუმორის გრძობა ძველებურად ჰქონდა შერჩენილი.

იმ დღეებში პრესაში დაიბეჭდა, ყველამ მივბადოთ ამხანაგ ჩერჩენკოს!

- მე რაც შემიძლია, ვბაძავ, ძამა, - ვერ დავდივარ, ვერ ვლაპარაკობ და ვერ ვსუნთქავო, - გაიცინა და გაგვაცინა ნოდარმა.

\*\*\*

ერთმა მწერალმა, საშუალო რანგისამ, ნამეტანი დიდხანს იცოცხლა, ამაზე ნოდარმა შენიშნა: - მაგან, გენაცვალე, მწერლის უკვდავება პირდაპირ გაიგო, - უბრალოდ, არ კვდებაო!

\*\*\*

მასხოვს ხმა გავრცელდა, ხრუშჩოვი ქართველებს ციმბირში გასახლებით დაემუქრაო.

იმ წელს თბილისში ძალზე აცივდა და თოვლიც დიდი მოვიდა.

გადაიხედა ნოდარმა ფანჯარაში: ე ბიჭო, მგონი მართლა გავგასახლა იმ უპატრონომ, რალაცა არ გავს საქართველოს ეს ყველაფერიო!

\*\*\*

კონსტანტინე სიმონოვი, გულრიფში დუმბაძეებისა და კალაძეების კარის მეზობელი იგონებს, თუ ერთხელ, მისი დაბადების დღეს, როგორ ჩავიდნენ ქუთაისიდან ნოდარ დუმბაძე და გულდაკალაძე და როგორ ჩაუტანეს იუბილარს მთლიანად შემწვარი თხა, რომლის მუცელშიც აღმოჩნდა მთლიანად შემწვარი გოჭი, რომლის მუცელშიც აღმოჩნდა მთლიანად შემწვარი ვარია, რომლის მუცელშიც აღმოჩნდა მოხარული კვერცხი, რომელშიც აღმოჩნდა ბარათი სალალობო ლექსით.

საწყენია, რომ არ შემიძლია გაგაცნოთ ამ „გასტრონომიულ მატრიოშკაში“ მოთავსებული ტექსტი, რომლის ყოველ გახსენებაზე კ. სიმონოვი გულიანად იცინოდა.



- გვშია, გვწყურია, გთხოვთ დაგვეხმაროთ!  
- მრავალშვილიან ოჯახებს პრეზერვატივებით ვეხმარებით.





მისვლა?

გიგლა ფირცხალავამ! იგი იყო პირველი და ასე პირველადვე დარჩა, თავისი სიცოცხლის ბოლომდე, როგორც ქართული არისტოკრატიული კარიკატურის მანქანა.

შემდეგ მოვიდნენ: მურთაზ აბაშიძე და ჯემალ ლოლუა. მურთაზი საკუთარი გემრიელი „სამზარეულოთი“, ჯემალი კი ნახატის სწორუბოვრობით და ვირტუოზულობით! მუდამ გამორჩეული და ამდღეული პასუხისმგებლობით.

შემდეგ მთელი პლეადა სამოციანელთა!

ჩამოვთვლი ისე, როგორც გამახსენდა: (შესაძლოა ვინმე გამომჩქეს, რისთვისაც აქვე ვიხდი ბოდიშს.) ედიშერ ყიფიანი, რეზი თვარაძე, გურამ ფანჯიკიძე, ტარიელ ჭანტურია, შოთა ჩანტლაძე, ემზარ კვიციანი, არლი თაყაიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო გაბრიაძე, აკაკი ბაქრაძე...

მხატვრები: ელგუჯა ბერძენიშვილი, ზურაბ ნიჟარაძე, დიმა ერისთავი, თენგიზ მირზაშვილი, ვიქტორ ჭუმბურიძე, მამია მალაზონია, ლალი ზამბახიძე, ზურაბ ლეჟავა, ალექსანდრე ბანძელაძე, ოთარ ჯიშკარიანი, დიმიტრი ზარაფიშვილი, ზურაბ ფორჩხიძე, ზურაბ წერეთელი.

გავიხსენოთ უფროსი თაობა განსაკუთრებული პატივისცემით: გოგი ისაევია, ანდრო კანდელაკი, გივი ლომიძე, იოსებ ქოქიაშვილი...

ესლა რედაქტორები და მათი მოადგილეები, ყველანი თავისი

შესაფერისი ღირსებით: კარლ კალაძე, ელგუჯა მალრაძე, ვახტანგ ჭელიძე, ნიკო შველიძე, ზურაბ გემაზაშვილი, ზაურ ბოლქვაძე, ოთარ ჭელიძე, გიგლა ხუბაშვილი, გიზო ნიშნიანიძე, მოსე ქარჩავა...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ელგუჯა მალრაძე და ვახტანგ ჭელიძე, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს „ნიანგის“ აღორძინებაში.

არ იფიქროთ ნოდარ დუმბაძე გამომჩქას! დუმბაძის ფენომენი სრულიად გამორჩეული და უნიკალურია „ნიანგის“ ისტორიაში და რაც გამახსენდა ჩემი უმშვენიერესი მეგობრის შესახებ, იმ პაწაწკინტელა წიგნში შეგიძლიათ წაიკითხოთ, რომელიც მწერლის 75 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, ახლახან „მწიგნობართა ასოციაციამ“ გამოსცა, რომელსაც ასე დავარქვით: - „ნოდარ დუმბაძე, როგორიც იყო იგი.“

ესლა ორიოდე სიტყვა ჩემი ცხოვრების იმ ნახევრის შესახებ, რომელიც მე „ნიანგში“ გავხარჯე, როგორც ჟურნალის მთავარმა მხატვარმა და კოლეგიის წევრმა. 1989 წელს, მისვლიდან ორმოცდაერთი წლის შემდეგ, ჩავთვალე, რომ ჟურნალს ახალი სისხლის გადასხმა სჭირდებოდა და „ნიანგი“ დავტოვე.

მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. სწორედ იმ დროიდან იწყება არსებული გარემოს ნგრევა. ამ ნანგრევებში „ნიანგიც“ მოყვა და თუ დღეს მას ჯერ კიდევ სული უდგას, ამას, უანი სიხარულიძეს, მის დღევანდელ მთავარ რედაქტორს, უნდა ვუმაძღოდეთ.

რატომ და რისთვის მოხდა ყველაფერი ეს?! ქართველმა ხალხმა, მთლიანად ქვეყნისათვის გადაწყვიტა ახალი სისხლის გადასხმა და თუ რა გამოგვივიდა აქედან, ამისი მომსწრენი თავად ვართ!..

ბევრი ჟურნალი როდი დაიკვებნის, ისეთი მრავალფეროვნებითა და სახელოვან ადამიანთა დეაწლით, როგორიც „ნიანგია“.


ეს ჟურნალი, არაერთი ქართველი თვალსაჩინო მოღვაწის, ერთგვარი საჯობნარი ტატამიც იყო, სადაც მრავალმა მწერალმა თუ მხატვარმა გამოსცადა თავისი ძალა.

ნება მომეცით, მათი ჩამოვთვა სწორედ იმ დღიდან დავიწყო, როდესაც პირველად შევადე „ნიანგის“ რედაქტორის, გრიგოლ აბაშიძის კაბინეტის კარი.

ეს იყო 1948 წელს, მაშინ, როცა ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტიც არ ვიყავი.

ვინ დამხვდა იქ? უჩა ჯაფარიძე, კარლო კალაძე, იოსებ გრიშაშვილი, აკაკი ბელიაშვილი, იოსებ ნუნეშვილი (რედ. მოადგილე), სიკო ფაშალიშვილი (პ. მგ. მდივანი), დონი - დავით ნაცვლიშვილი, - ქართული კარიკატურის პატრიარქი. მიშა კუხალაშვილი (ტექ. რედაქტორი) და მარადიული სონია ციციშვილი.

ჩემი თაობიდან ვინ მიმასწრო



ნ.ბ. ბაქრაძე უზუაპვილისა

უსიტყვოდ

ნოდარ მალაზონია





გულწრფელად გილოცავთ „ნიანგელებო“ ჟურნალის დაარსებიდან 80 წლისთავს და ქართული ლიტერატურის გამამდიდრებლის უბრწყინვალესი იუმორისტის, ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 75

წლისთავს. თქვენ, თითოეული ჩვენგანის გაზრდაში გამორჩეულად დიდი წვლილი შეიტანეთ.

ბეჭდვითმა პროდუქციამ საამოღმილიც მოგვგვაროს და ამავე დროს, მწარედაც ჩაგაფიქროს არსებულ ყოფაზე, რთული და საპატიო საქმეა. როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ნებისმიერი პერიოდული გამოცემა იტანს თითო-ორი ნაკლებ პროფესიონალიზმს. ვერ იტანს და ვერც აიტანა „ნიანგმა“, რადგან თქვენს რედაქციაში თითოეული მოღვაწე იუმორის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული და სატირის წკებლაც ეკავა ხელში. ნიშანდობლივია ისიც, რომ 80 წლის მანძილზე არაერთმა სცადა ალტერნატიული გამოცემა დაეარ-

სებინა, მაგრამ ისინი მხოლოდ დროებით არსებობდნენ, რითაც კიდევ ერთხელ და მერამდენედ ამტკიცებდნენ, რომ სატირასა და იუმორში კონკურენცია არცთუ იოლი საქმეა და სულაც არა ჰგავს სალექტი რეზინის ბიზნესში კონკურენციას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, „ნიანგელებო“, ორ დიდ თარიღს. მომავალში ცხოვრების გაუქეთესების პირობებშიც არ დაგკარგოდეთ სატირისა და იუმორის გრძობა.

პატივისცემითა და თანადგომით,

საპარტიველოს ჟურნალისტთა  
ფედერაციის თავმჯდომარე

აკაკი სისხარულიძე

# სიძე რუმბაძისა

ეპიზოდები

პირველად, როცა ვნახე არ მომეწონა - შავი, სქელი წარბებით და არავითარი იუმორისტული, თანაც თვალები ნალვლიანი, სევდიანი. მოკლედ, მის ნაწარმოებებს არ გავდა, თუმცა რალაც იღუმალი თან სდევდა...

წარმოიდგინოს კაცმა ადამიანი, რომელიც მწერლის გმირებთან ერთად იზრდება, ყალიბდება, ვაჟკაცდება. მერე პიროვნება ხდება. დავიწყე სოსოიათი და გავხდი მწერალი, ჟურნალის რედაქტორი.

მთელი ცხოვრება მის სამყაროში ვიყავი, მის გმირებთან, ან კვდამდი ან ვთამაშობდი.

სლოვაკეთში არის პატარა ქალაქი ნიტრა. მიმიწვიეს, რათა დამედგა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ილარიონს თამაშობდა მსახიობი იოზეფ დოცი (თუ ჟოზეფ, ან იოსებ), ილიკოს - მილან კიში. ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ. დღეს ამ ქალაქში დადის ორი პოპულარული მსახიობი და ეძახიან ილიკოს და ილარიონს.

რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში დგამდა „მზიან ღამეს“. მე ვთამაშობდი თემო ბარამიძეს. რობიკოს სახლში როლების განაწი-


ლებას ვუთანხმებდით ავტორს. ერთსი თამაშობდა ართავაზას, ზინა - დედას, რამაზი - კასიანე გოგიჩაიშვილს. რობიკო ყავის მოსადუღებლად გავიდა, მაშინ მე უფრო ახლოს ვიყავი ნოდართან, მისი „სოსოია“ ვიყავი და მეკითხება: ბიჭო, გოგია, კასიანე რომელია?..

ორჯერ დავდგი საზღვარგარეთ დუმბაძე, ბულგარეთში და სლოვაკეთში. იქ, განსაკუთრებულად მივხვდი მის ფასს. მისი გმირები ისევე ცოცხლობდნენ სცენაზე, როგორც საქართველოში.

კრიტიკამ დაწერა, რომ ფოსტალიონისა და გერმანელის სცენა გენიალური...

...გვიან მივხვდი, როგორ ღრმად იცოდა ნოდარმა ბიბლია და სახარება. სიკეთე, სიკეთე, სიკეთე, კაცთმოყვარეობა. იცი რომ ტიგრანა მკვლელია, მაგრამ ისეთი კუთხით შეგახედებს, სიმპათია გებადება.

...როდესაც ნიტრაში ბებიას სიკვდილის სცენა ითამაშეს, მაყურებელი შოკში ჩავარდა, არავინ მოელოდა ასეთ მზიარულ სუპერკალში სიკვდილს. დარბაზი ხმამაღლა ტიროდა და მაშინ გავიფიქრე: „რა ბედნიერი კაცია ნოდარ დუმბაძე!“



ნ.ბ. ბამბაშვილი

მისი ნაწარმოები ჯერ რუსულად იყო თარგმნილი და მერე უცხო ენაზე. მაინც დიდ ზემოქმედებას ახდენდა მაყურებელზე, მეორად და მესამედ თარგმანში.

...მე ის არ მინახავს მიცვალებული (საქართველოში არ ვიყავი). მე ის სულ ცოცხლად მახსოვს. განსაკუთრებით მახსენდება დღეები, როცა ერთად ვკითხულობდით მის ნაწარმოებებს. ის ხმამაღლა იცინოდა და ამბობდა: - „მართლა ასე წერია?“

...თურმე, აკაკის სიკვდილის წინ „გამზრდელი“ წაუკითხავს და უთქვამს, ეს რა კარგად დამიწერიაო.

გოგი ძავთარაძე







# ინცერვიუ გიგა ლორთქიფანიძესთან

- ბატონო გიგა! რადგან ნოდარ ღუმბაძე „ნიანგს“ გამზრდელ ძიძას ეძახდა, არ გვიწყენს თუ ჩვენს ინტერვიუს „ნიანგით“ დავიწყებთ: რა დამოკიდებულება გქონდათ ჟურნალ „ნიანგთან“ ნოდარის რედაქტორობის დროს და მის შემდეგ?

- „ნიანგი“ ჩემთვის ყოველთვის სათაყვანებელი ჟურნალი იყო. ის ერთადერთი ორგანო გახლდათ, რომელიც კრიტიკული თვალთუყურებდა, ებრძოდა და ამხელდა ჩვენი ცხოვრების მანკიერებას, რაც იმ დროისათვის ასე ადვილი არ იყო. მე მჯერა მისი ხვალისდელი დღის და მსურს უფრო გაბედულად, როგორც სჩვევია მას, შეუტიოს და გამოავლინოს ყველა ის მანკიერება და ხარვეზი, რითაც სამწუხაროდ, ზომაზე მეტადაა გავჩერებული ჩვენი ცხოვრება და აფერხებს მის წინსვლას.

- სად გაიცანით ბატონი ნოდარი?

- ბავშვობაში, ვერაზე, აფთიაქთან შევხვდით ერთმანეთს. ჩვენი გაცნობაც იქ შედგა. მაშინ ორივე ტრამვირებული, რეპრესირებული ოჯახის შვილები ვიყავით. მას დედაც და მამაც გადასახლებული ჰყავდა. მე მხოლოდ მამა. ამ გაც-

ნობის დღიდან, ვიდრე ნოდარის სიკვდილამდე, ვმეგობრობდით ერთმანეთს.

- როგორც მისი შემოქმედების თაყვანისმცემელს და რეჟისორს, როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან? ან რამეზე თუ გიკამათია?

- მთელი ჩემი ცხოვრება მის ნაწარმოებებს ვდგამდი. ჩვენ შორის არანაირი გაუგებრობა არ ყოფილა. ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა, ისევე როგორც პირადი, სიყვარულზე, სიტბოზე, სიხარულზე და ურთიერთგაგებაზე იყო აგებული. ის ყოველთვის მენდობოდა და თავის რომანებზე მუშაობის დროს სრულ თავისუფლებას მანიჭებდა.

ნიჭიერო, კეთილო, დიდსულოვანო ადამიანო! სიხარულით გილოცავ 75 წლის იუბილეს. „ნიანგი“ სიცოცხლის ბოლომდე შენი საყვარელი ჟურნალი იყო. შენი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებიც ამ ჟურნალში დაიწყო. დღეს შენი სათაყვანებელი „ნიანგი“ ოთხმოცი წლისაა, შენ კი 75 წლის. აკლიხარ ჟურნალს, მეგობრებს, საზოგადოებას, წიგნის მოყვარულებს, რადგან შენი ყოველი ახალი წიგნი, ახალი მოთხრობა დღესასწაული იყო როგორც ქართველი, ასევე სხვა



ეროვნების ხალხებისთვისაც.


ბედნიერი ვარ, გითხრა, რომ აღსრულდა შენი წინასწარმეტყველება - „ჩემი სიკვდილის შემდეგ, ჩემი წიგნები კიდევ უფრო პოპულარული გახდებო!“ - ამ დღეებში დამთავრდა მისაღები გამოცდები თეატრალურ ინსტიტუტში, თეატრსა და კინოს ფაკულტეტებზე. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ აბიტურიენტების 90% გამოცდებზე შენს მოთხრობებს კითხულობდნენ. ეს დასტურია იმისა, რომ შენ ყველა თაობის მწერალი ხარ და დღევანდელ ახალგაზრდობასაც ისევე უყვარხარ, როგორც შენი თაობისას.

ნათელი იყოს შენი ხსოვნა, ჩემო ძმაო და მეგობარო!

„ნიანგს“ და მის კოლექტივს ვუსურვებ შემოქმედებით წინსვლას და ბასრ კალამს ხალხის საკეთილდღეოდ.

ესაშურა ნანა ჯაჯანაშვილი

ნახ. ბასია ზუბაშვილისა



ვ. ზ.

\*\*\*

- ყველაზე მეტად რა მოგნონს ჩემი, - ჩააცივდა ცოლი ქმარს, - მშვენიერი სახე თუ დიდებული სხეული?

- შენი იუმორის გრძნობა...

\*\*\*

- აღარ შემიძლია სიდედრის ატანა!


- მოეშვი სისულელებს, შენი ცოლი იმან არ გაზარდა?!

- სწორედ მაგიტომ მძულს!



# იუბილეო გახშირდა

80  
ნიანგის  
უბოცებელი



ძვირფასო ბატონო ჟანი!  
გახსოვთ, ალბათ, ასე აქილი-  
კებდა დიდი ვაჟა-ფშაველა ყველას,  
ვისაც საიუბილეო ფაცი-ფუსუნააღ-  
რევედ შეატყობდა!

არადა, ან თქვენ რა შუაში ხართ  
ახლა, ანდა, რა თქვენი ბრალია,  
თუკი მაინცდამაინც წელს გახდა  
- ჟურნალი „ნიანგი“ 80 წლის!  
- ნოდარ ღუმბაძე - 75!  
- ზაურ ბოლქვაძე - 70!  
- თამაზ წიგწივაძე - 60!

თუმცა ამ ჩამონათვალში მე რა  
შუაში ვარ! ალბათ, ისე, უბრა-  
ლოდ, რაკი საშუალება მომეცა,  
მინდოდა ყველას სცოდნოდა, რომ  
ერთ სამოც წელს, მე გლახამაც კი  
მოუყარე თავი!

მით უმეტეს, როცა ვიცი, ბევრიც  
რომ ვიცოცხლო, არა მგონია, ეს  
შედეგი მეორედაც გავიმეორო!..  
ჟანი, ძვირფასო, ახლა, თუ კაცი  
ხარ, შენც ნუ დამიწყებ საკუთარი  
ასაკის გამოთვლას, თორემ ისიც  
თუ მრგვალი აღმოჩნდა, ვეღარ  
დაგვიმოავრდება წლებგანდელ  
წელს იუბილეები და, ესაა! ამიტომ  
მიმდინარე სამეურნეო წელიწადს  
იქნებ ის ვიკმაროთ, მხოლოდ მშობ-  
ლიურ „ნიანგსა“ და მის ყველა  
დროის სახელოვან რედაქტორს,  
ნოდარ ღუმბაძეს რომ გადაუ-  
ხადოთ დაბადების დღეები!

მით უმეტეს, ძვირფას ზაურ ბოლ-  
ქვაძეს, თავის 70 წლის იუბილე, ეს-  
ეს არის, მიუულოცეთ!

სხვათა შორის, სიტყვამ „ეს-ეს  
არის“, მე ახლა მისი (თუ ნოდარ  
ღუმბაძის?) ხუმრობა გამახსენა:

„ავღანეთში ეს-ეს არის!  
შეგრიალდა, ეს-ეს-ერი!..“  
ე.ი. დამოუკიდებელ ქვეყანაში,  
ავღანეთში, ეს-ეს არისო, შეგრი-  
ალდა ჩვენი ეს-ეს-ერი, ანუ საბჭოთა  
კავშირიო!

ნუ მოწმენდ ახლა შენ პირს და ნუ  
იტყვი, ჟანი - საბჭოთა კავშირი ამას  
არიზამდაო!

ქნა, როგორ არ ქნა, ძმაო!..  
მაგრამ მე რა ვქნა ახლა, ეს საი-  
უბილეო მილოცვის ტექსტი, რამე-  
ნაირად მეც ხომ უნდა დავამთავრო!

თუმცა, მოიცა, ერთი გადასარევი  
იდეა ამ წუთას მეც მომივიდა თავში!

ჟანი, ძვირფასო, ეს მილოცვის  
ტექსტი მე ხომ დავიწყე, ახლა ადექი  
და, თუ კარგია, შენ დაამთავრე!

რა, ვითომ, „ნიანგის“ თანამშრომ-  
ლებს უფრო მეტი უცნაურობა არა-  
ფერი ჰავიდენიათ?!

აბა, ის რა იყო, თქვენი ტექნიკური  
რედაქტორი, ცხონებული მიშა კუ-  
ხალაშვილი, ერთი ბოთლი დამა-  
ლული ლეღვის არყისთვის, რედაქ-  
ციის კედლებს რკინის ლომით რომ  
ანგრევდა?!

არადა, შენ ხომ იცი ჟანი, ის  
არყის ბოთლი, თვითონ ლომის  
(ზაურ ბოლქვაძის!) დამალული  
რომ იყო?..


და ბოლოს, ძვირფასო ჟანი, იმის  
მიუხედავად, რომ ამ მილოცვის  
ტექსტის დამთავრება, ახლახანს  
შენ დაგვეალა, ჩემს სათქმელს  
მაინც აქვე ვიტყვი:

დიდი ნოდარ ღუმბაძის 75 წლის-  
თავს გილოცავთ, ძვირფასო „ნიან-  
გელებო“!

ალბათ საშუალო ასაკის, 80  
წლის „ნიანგის“ დაბადების დღე-  
საც გილოცავთ, ბატონებო!..

თქვენი  
ივან რიკნიძე

ნ.ბ. ბურაბ შატალურიანსი



დღეიდან ლარი აღარ აიღოთ, დავიდალე მაგის გადაცვლით.  
პირდაპირ დოლარი მოიტანეთ!

## ნათელი მომავალი

უბუქობისაგან შენუსებული რუსთაველების თხოვნით  
„ნიანგის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა „რელასის“  
უფროსის მოადგილეს ბ-ნ ავთანდილ კარანაძეს, რომელ-  
მაც განაცხადა, რომ „გაერთიანებული სადისტრიბუციო  
ენერგოკომპანია“ მტკიცედ ადგას „ნათელი მომავლის“  
მშენებლობის გზას და ამ გზიდან არ გადაუხვევს. ისინი  
ოცნებობენ წითელი კომუნების ჩამოყალიბებაზე, სადაც  
აქტუალური იქნება კოლექტიური პასუხისმგებლობის  
პრინციპი და იმოქმედებს ლოზუნგი: „გადაისადე შენ და  
გადაახდევინე შენს მცხობელს!“

„რელასის“ ხელმძღვანელობა შეშფოთებულია იმ ფაქ-  
ტით, რომ „ნათელი მომავლის“ მშენებლობის გზაზე ისინი  
სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებიან მომრავლებული  
წვრილბურჟუაზიული აზროვნების მქონე ელემენტების  
შრიდან, რომელთათვისაც ეს პრინციპი მიუღებელია.

თავის მხრივ წვრილბურჟუაზიულად მოაზროვნე  
მოსახლეები აცხადებენ, რომ ე.წ. „ნათელი მომავლის“  
მშენებლები სინამდვილეში „ჯოჯოხეთის მოციქულები“  
არიან. გადანყდა შეიქმნას პარტია „სიბნელიდან სინათლე-  
სვენ“, რომელიც დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებს  
შაბნელ ძალებს.

დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

საქართველოს  
პარლამენტის  
მდივანთა





\*\*\*

- მე მივდივარ, ის დგას. წინ რომ ჩავუბრუნებ, ის მაინც დგას. ის ხელს მინევს, მე ვჩერდები და მასთან მივდივარ. ის მოლუშული სახით მხედვება, მე ვიღიმები. ის ხვდება, რომ მე ვიცი, იმას რაც უნდა და ისიც იღიმება. მე ვიღებ... ისიც იღებს. მე მივდივარ, ის რჩება.

მე მძლოლი ვარ, ის-ავტონისპექტორი!

**სადრეკვრო დილოგი**

გულიკო: ლუბა, მიეცი უკვე?  
 ლუბა: კი, კი. დილაადრიაან მივეცი, შენც მიეცი?  
 გულიკო: მე ცოტა მოგვიანებით მივეცი?  
 ლუბა: არავის ვეტყვი, მითხარი ვის მიეცი?  
 გულიკო: მე სააკაშვილს მივეცი, შენ?  
 ლუბა: მეც სააკაშვილს მივეცი, ახალგაზრდაა და იმიტომ!

ნელი ნავია



ნახ. მ. კუსაშვილისა

- სად მიდიხარ კაცო, სად?!  
 - წავალ! იქნება სპონსორი ვიშოვო?!



ნახ. ვახტანგ კუციანასი

**უხსოვრი იუპორი**

მოდის მამაკაცი სამსახურში "ფინგალით".

- თვალი ვინ ჩაგიღურჯა? -  
 ეკითხებიან ცნობისმოყვარე თანამშრომლები.

- ვინ და ცოლმა.  
 - ასე როგორ გაგიმეტა?  
 - შენობით მივმართე.  
 - რას ამბობ, მართლა?  
 - ვწევართ სალამოს ლოგინში და ცოლი მეუბნება: ძვირფასო, რამდენი ხანია ჩვენ სექსი არ გვექონია! ჩვენ კი არა შენ! - გავუსწორე მე და აი შედეგი.

- თუ შეიძლება ფულის მაგიერ კარტოფილს მოგცემთ?!

12



# ნოდარ ძამა, 75 წლის გახდის?



ბიჭო, „ნიანგი“ შენზე უფროსი ყოფილა ხუთი წლით. მარა მაი აფერი... აფერზე გამახსენდა, აფერისტების ქვეყანაში ვცხოვრობთ, აუ, რა გაასწარი?!

შენ „ეროვნულობას“ ვეღარ მოესწარი, იმდენს ყვიროდნენ „ეროვნული“, „ეროვნულიო“, სანამ ერი ნულამდე არ დაიყვანეს, ბოლოს მივხვდით, ეროვნულის ეტიმოლოგია ყოფილა ერი დაყვანილი ნულამდე - „ეროვნული“. გახსოვს, სოხუმში გეუბნებოდი, რომ - აკუა ქალაქია აფხაზურად, აფსუა - ქვეყანა აფხაზურად, აკუა - აჯიბას ერქვა აფხაზურად, სამი

ვე ქართულ-შუმერული სიტყვაა, დღეს, ჩვენ, შენი მეგობრები - აკუაში, აფსუაში და აკუაში ვცხოვრობთ. შენ ზეციურში ხარ, შენ რა გიჭირს, უფალია შენი მფარველი.

სიმღერა ხომ გახსოვს, ძამა - სიმღერა „სირტაკი“, ორი სიტყვისაგანაა შექმნილი სირი და ტაკი, ჩვენ კი ვმღერით, მარა არც ერთი გვაქვს და არც მეორე, ეჰ, რას იზამ, ასეა და...

ხომ გახსოვს ძამა, კომპარტიაზე ვამბოდით, კომპარტია - შუმერულად - კომიკურ პარტიას ნიშნავს თქვა, მაშინ, იმ დასაწყევ დროს, ერთი პარტია იყო კომპარტია

-კომიკური პარტია, ახლა 318 პარტიაა და ამ ჩემს სამასთერამეტრიანებს არავის რცხვენიათ. 5000 კაცი კენჭს იყრის პრეზიდენტობაზე, იცი რა მოხდა? ვინც რეზიდენტი იყო, „პ“ დემატა და პრეზიდენტადაა გამზადებული.

ეჰ, რაფერ გვაკლიხარ, სიყვარულით საგსე ძამო, შე „ნიანგზე“ ხუთი წლით უმცროსო ნოდარ დუმბაძე, შენი პროზა ცოცხლობს, შენი იუმორი ცოცხლობს, შენი ლექსი ცოცხლობს...

მე იქაც ვარ - პარლამენტში, ხომ გახსოვს, პარლამენტი, ძველ ქართულში „სალაყბოს“ ნიშნავდა -



ახლაც ასეა.

შენი ჯანსუღ ჩარკვიანი



ნ.ბ. მ. აბაშვილისა

- დააწყვე, დააწყვე დოლარები და გაიღება!





ჟურნალი „ნიანგი“ ხუთი წლით, ერთი თვით და თერთმეტი დღით ადრე დაიბადა, ვიდრე ნოდარ დუმბაძე რედაქტორებიც ბევრნი იყვნენ ნოდარისთვის, ნოდარის შემდეგაც, მაგრამ ნოდარისნაირი არც ერთი არ ყოფილა. შედარებისთვის ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებს დავასახელებდი. ბრწყინვალე ფეხბურთელები თამაშობდნენ ამ გუნდში, მაგრამ პელე მაინც პელე იყო. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: ნოდარიზე შემოდისა შეუსვენებლივ ვილაპარაკო, არც დავიღლები და არც სალაპარაკო შემომძვინვარებ. ამიტომაც შევეცდები არ დაგვალაოთ, ძვირფასო მკითხველო, და მეც თავი დავზოგო. ბესო ჟღენტმა რომ წაიკითხა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, განაცხადა: „ეს კაცი გურიაში მაგნიტოფონით ჩასულა და ყველაფერი ჩაუწერიაო“. სწორედ ეს იყო ნოდარის უზარმაზარი ნიჭი. თვითონ ამ ნიჭს მაინცდამაინც დიდ შეფასებას არ აძლევდა. ზურაბ ანჯაფარიძემ იცოდა თქმა (თუ შეაქებდი) - კარგია, თუ ძმა ხარ, სიმღერას რა უნდა, გააღე პირი და იმღერეო“. ნოდარი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, აფრქვევდა იუმორს. მის იუმორს ხალხი ითავისებდა, საიდან მოდიოდა ამდენი ხალასი იუმორი, ამას თვითონ არ აქცევდა ყურადღებას.

ერთხელ, გვიან ღამით, მივედი ნოდარისთან სახლში. ეს ის დრო იყო, როცა ტელევიზიის მხოლოდ ერთი არხი მუშაობდა, ისიც 12 საათამდე. ნოდარი ტელევიზორთან იჯდა და ეკრანს შესცქეროდა. ეკრანზე მხოლოდ მაკონტროლებელი „შკალა“ იყო გამოსახული. გადაცემები დამთავრებული იყო. რას უყურებ-თქვა, ვკითხე ღიმილით. „რა ვიცი ძმა, სანამ სამი თითის კომბინაციას არ მიჩვენებენ მანამ უყურებ“ - მითხრა ხითხითით. 1979 წლის სექტემბერში ნოდარი სოხუმის საავადმყოფოში იწვა. თავიდანვე გავთვალე, რომ საავადმყოფოში შესვლა არც ისე იოლი საქმე იქნებოდა, ამიტომაც ავტონისპექციის უფროსთან მივედი. გვარი არ მახსოვს, მაგრამ გაქანებული აფხაზი რომ იყო, ნამდვილად ვიცი. გავიცანი და ვთხოვე დახმარება. მაშინვე წამოხტა სავარძლიდან, გადამეხვია და მითხრა: „ნოდარ



დუმბაძე, სინ აფხაზსკოვო ნაროდა, მიოჩენ ლიუბიმ ი უვაჟემ ევო“. ჩემი მანქანა იქვე ეზოში დატოვეს და ავტონისპექციის მანქანით გავქანდით ნოდარის სანახავად. უკანასკნელ წლებში მისი ნახვა ხშირად საავადმყოფოში ხდებოდა.

შემდგომ, თბილისში „ლეჩკომბინატში“ იწვა, ხშირად მივდიოდი მის სანახავად, თითქმის ყოველდღე. ერთხელ ქართლოს კასრაძე მოვიდა ჩემთან და მთხოვა ნოდარის სანახავად ერთად წავიდეთო. გზაში ფორთოხლის ყიდვა შემომთავაზა, ხელცარიელი ხომ არ მივალთო. მე უთხარი, ფორთოხლის ჭამა რომ მოგიჩინდეს, მიდი ნოდარის სანახავად, რასაც მოერევი შეჭამე და ცოტას სახლშიც წაიღებ-თქვა.

მნახველების დინება კარგა ხნის შეწყვეტილი იყო, პალატის კარი რომ შევალე. ნოდარი სავარძელში იჯდა. კარგ ხასიათზე იყო. მეკითხება - „ვინ ვარ მე, კაცმა რომ მკითხოს, არ ვიცი!“ იცოდა ამ კითხვაზე რასაც ვუბნებდი და თვითონვე გააგრძელა თხრობა. დღეს შევარდნაძე მოვიდა ჩემს სანახავად, მომეფერა, კარგა ხანს მესაუბრა და წავიდა. გავიდა ცოტა ხანი და შიოლაშვილი მოვიდა, დამლოცა, მომეფერა და წავიდა. გავიდა ცოტა ხანი და „რამკიანი ქურდები“ მოვიდნენ, მომეფერნენ, საჩუქრები მომიტანეს და წავიდნენ.

სამი ერთმანეთისგან რადიკალუ-

რად განსხვავებული ადამიანები ნოდარის მიმართ ერთნი იყვნენ.

აი, ვინ იყო ნოდარ დუმბაძე. ელგუჯა მალრაძის პირადი ინციტაციით ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში ჩატარდა რეფორმა. ერთდროულად შეიცვალა რედაქციის წამყვანი ბირთვი. 1958 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დამატეცა მთავარი რედაქტორის მოადგილედ ნოდარ დუმბაძე, პასუხისმგებელ მდივანად - მოსე ქარჩავა და მთავარ მხატვრად - ნოდარ მალაზონია. აქედან იწყება სატირისა და იუმორის ნოდარისეული ეპოქა. იცოდა რა, მთავარმა რედაქტორმა, ელგუჯა მალრაძემ ნოდარ დუმბაძის განუზომელი ნიჭი და შესაძლებლობა, ცდილობდა, მაქსიმალურად გამოეყენებინა იგი: იყო შემთხვევები, როდესაც ნოდარის დაუდგამდა მაგიდაზე ლიმონათს, რაიმე საუზმეს და ეტყოდა: მანამ ფელეტონს, კრიტიკულ-მამხილებელ მასალას ან კონკრეტულ დავალებას არ შემოსრულებ გარეთ ვერ გამოხვალო. ჩაუკეტავდა გარედან კარს და გასაღებს ჯიბეში ჩაიდებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნოდარი შიგნიდან დააკაკუნებდა კარზე და დაიძახებდა: - ელგუჯა, დაეწერე, კარი გამიღეო! ეს საქმის სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით ხდებოდა.

ქანი სისხარულიძე





ნახ. მ. კუხიანი

- წელიწადია, პენსია არ მიმიღია, დასამარხი ფული ყოფილმა მთავრობამ წაპართვა და ჩემით ვითხრი საფლავს.  
- თუ ძმა ხარ ორადგილიანი გათხარე, მეც მაგ დღეში ვარ!

## ინტერნეტ - იუპორი

\*\*\*

გამომძიებელი დაკითხვაზე იძახებს ფრანგ ქალს, რომლის სახლის ფანჯრიდანაც რუსი ტურისტი გადმოვარდა.

- მოგვიყევით როგორ იყო საქმე?

- რუსი ტურისტი გავიცანი. ნავედით კაფეში, როგორც ჩვენთან არის მიღებული. მან არაყი დალია, როგორც მათთან არის მიღებული. შემდეგ ჩემთან სახლში დავვატიყე, როგორც ჩვენთან არის მიღებული. როცა ლოჯინში ვინეყით და ვსიყვარულობდით, მოუ-


ლოდნელად დაბრუნდა ჩემი ქალი. მე გადავწყვიტე, რომ ისინი ერთმანეთისთვის გამეცნო, როგორც ეს ჩვენთანაა მიღებული. რუსი კი რატომღაც ფანჯრიდან გადახტა, ალბათ მათთან ასეა მიღებული...

\*\*\*


- მამა, დედამ გთხოვა ფეხ-შიშველმა იაროსო.

- ვითომ რატომ? - ბრაზობს მამა.

- ასე თქვა, სამი ნემსი დამეკარგა და იქნებ მიპოვოსო.



ნახ. ა. მრამდისა



- უფროსო! „სროკი“ დაუმთავრდა, მაგრამ მაინც არ გადის, მალე „მაყუთიან ჩინოვნიკებს“ შემოიყვანენ და უკეთესად ვიქნებით!

## ანონსი ორთაჭალის ციხის კლუბში

ორშაბათი-საბრალოდებლო დასკვნა  
სამშაბათი-გრაფი მონტე კრისტო  
ოთხშაბათი-დანაშაული და სასჯელი  
ხუთშაბათი - განაჩენი  
პარასკევი - სურამის ციხე  
შაბათი - მზის დაბნელება  
კვირა - რაც გინახავს ვეღარ ნახავ

მთავარი რედაქტორი  
ბეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

მურთაზ აბაშიძე  
ქაბუა ამირეჯიბი  
ვახტანგ დონნაძე  
მალხაზ კუხიანი (მხატ. რედაქტ.)

ნოდარ მალაზონია  
ჯანგირ მამალაძე  
თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა)  
მერაბ სიხარულიძე (მთ. რედ. მოადგილე)  
ლოიდ ქარჩავა (მ/გ. მდივანი)  
ქანსულ ჩარკვიანი  
თამაზ წიფწივაძე  
ნანა ჯაჭანაშვილი (განვ. რედ.)  
გელა ვაზაგაევი (ლიზინი)

მისამართი: 380008, თბილისი,  
რუსთაველის გამზ. №42  
ტელ: 93-19-42; 99-78-95; 99-55-54  
უფროსი გამომცემი 1923 წლის 3 იანვლიდან  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის  
მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ,  
რეგისტრაციის №4/4-1263  
(№1910) ინდექსი: 76137



ბ 67/6



ნახ. მ. აბაშვილი

ხელმწიფე უნდა მართალი,  
 ვით ბრძენთა დაუწერია,  
 ბრძენი, უხვი და მოწყალე,  
 მრიცხველი ზომიერია,  
 სჯულმტკიცედ, სწორედ  
 სიმართლით  
 იყოს და ყვანდეს ერია...

ლავით გურამიშვილი